ПРОЕКТИС МОКЛЕ АЦЕРА

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოში

Photo: UN Women/Tara Milutis

ფაქტები და რიცხვები

გლობალური მაგალითები

- 2000 წლიდან გაეროს უშიშროების საბჭომ ჯამში 10 რეზოლუცია მიიღო ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე - ეს რეზოლუციებია: **1325 (2000), 1820 (2008), 1888 (2009), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013), 2122 (2013), 2242 (2015), 2467 (2019) და 2493 (2019).**

- 2021 წლის აგვისტოში კი, **98 ქვეყანამ და ტერიტორიამ** (გაეროს წევრი ქვეყნების 50%) **ეროვნული სამოქმედო გეგმები დაამტკიცა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე,** ასევე 12-მა რეგიონულმა ორგანიზაციამ შეიმ-უშავა რეგიონული სტრატეგიები თუ გეგმები აღნიშნულ თემაზე. უფრო მეტიც, ეროვნული სამოქმედო გეგმების **86 პროცენტს მისი განხორციელების პროგრესისათვის თვალის მისადევნებლად მონიტორინგის ინდიკატორე-ბი გააჩნია** (წყარო: გაეროს უშიშროების საბჭოს ანგარიში, 2021 წ.).

- 2021 წლის 2 ივლისს **ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება და ჰუმანიტარული რეაგირების შეთანხმება** ამოქმედდა **პარიზში გამართულ თანასწორობის თაობის ფორუმზე.** 2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, **153 ხელმომ-წერმა, მათ შორის, წევრმა სახელმწიფოებმა, რეგიონულმა ორგანიზაციებმა, გაეროს სააგენ-ტოებმა, კერძო სექტორმა და სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიის წარმომად-გენლებმა,** მხარი დაუჭირეს ხელშეკრულების პრეამბულას და სამოქმედო ღონისძიებებს და აიღეს ვალდებულება, სულ ცოტა, ერთი შემო-თავაზებული ღონისძიების განხორციელების თაობაზე.

საქართველო

- საქართველომ ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, რომელიც რიგით მეოთხეა ქვეყნისათვის. აღნიშნული გეგმის შემუშავების პროცესი მონაწილეობითი იყო და მასში ჩართული იყვნენ შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტები, ქალთა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ასევე 70-მდე ადგილობრივი დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალი და ახალგაზრდა.

- 2021 წლის მდგომარეობით, **ჟენევის საერთა-შორისო მოლაპარაკებების 12 ქართველი მონაწილიდან 2 ქალი იყო, ხოლო ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის 5 ქართველი მონაწილიდან 1 იყო ქალი** (წყაროები: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი).

- ქალები კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგე-ნილნი და არ აქვთ კარიერული წინსვლის შესაძლებლობები უსაფრთხოების სექტორში. 2020 წელს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ქალებს გადაწყვეტილების მიმღები პოზიციებიდან მხოლოდ 33 პროცენტი ეკავათ სამოქალაქო თანამდებობებზე და 9 პროცენტი თავდაცვის ძალებში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ქალებს წამყვანი თანამდებობებიდან მხოლოდ 6.5 პროცენტი ეკავათ, მაშინ როცა მხოლოდ 14.5 პროცენტს შეადგენდნენ პოლიციის ოფიცრების პოზიციაზე (წყარო: **გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი,** 2021 წ.).

გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისი
საკონტაქტო პირი: თამარ ლობჯანიძე, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პროგრამის ანალიტიკოსი
ტელ: (+995) 32 222 06 04 / 2 22 08 70
მობილური: (+995) 598 193 931
ელ-ფოსტა: tamar.lobjanidze@unwomen.org
ინტერნეტი: georgia.unwomen.org

პროექტის შესახებ

მნიშვნელოვანი მტკიცებულებებით გამყარებულ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგს ტრანსფორმაციული პოტენციალი გააჩნია კონფლიქტების პრევენციის, ადამიანის უფლებების დაცვის, მშვიდობისა და სამშვიდობო და აღდგენითი პროცესების ხელშეწყობის თვალსაზრისით. თუმცა, კვლავ რჩება გამოწვევები, როგორიც არის ინსტიტუციური წინააღმდეგობები და პოლიტიკური ნება, ასევე დაფინანსების სიმწირე, რაც ხელს უშლის აღნიშნული დღის წესრიგის და გაეროს მდგარდი განვითარების მე-5 და მე-16 მიზნების სრულყოფილად განხორციელებას.

პროექტი **„ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოში“** 2020 წლის ნოემბერში დიდი ბრიტანეთის მთავრობის, კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდისა და თავდაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო. პროექტის მთავარი მიზანია სწორედ საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ირგვლივ არსებული გამოწვევების აღმოფხვრა და მისი უკეთესი განხორციელების მხარდაჭერა.

მოსალოდნელი შედეგები

1. ქალთა ეფექტიანი და წარმომადგენლობითი მონაწილეობა კონფლიქტების პრევენციასა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე.

2. სახელმწიფო უწყებების, განსაკუთრებით კი, უსაფრთხოების სექტორის ძირითადი პარტნიორების ანგარიშვალდებულების გაზრდა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგით აღებული ვალდებულებების შესრულების კუთხით.

განხორციელების სტრატეგია

პროექტის ფარგლებში დასახული შედეგების მისაღწევად, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ინტეგრირებულ მიდგომას იყენებს, რომელიც ერთდროულად მოიცავს კონფლიქტების პრევენციაში, ტრანსფორმაციასა და მშვიდობის მშენებლობაში მთავრობის ანგარიშვალდებულების გაძლიერებას და ასევე, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ქალების სრული, თანაბარი, პირდაპირი და ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფის ხელშეწყობას. გაეროს ქალთა ორგანიზაციის ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართულებით გლობალურ გამოცდილებასა და პროგრამირების არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, პროექტის განხორციელების სტრატეგია ფოკუსირებულია შემდეგ საკვანძო მიმართულებებზე, რათა აღნიშნულ სფეროში ტრანსფორმაციული ცვლილება მიიღწეს:

1. ქალებისა და ახალგაზრდების (მათ შორის, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული) შესაძლებლობების გაძლიერება კონფლიქტების პრევენციასა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში, ასევე ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით - ადგილობრივ დონეზე დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების, ასევე ქალთა სამოქალაქო საზოგადოებების გაძლიერება, რათა უფრო ეფექტიანად მოხდეს მათი ჩართვა მშვიდობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, მათ შორის, აღნიშნული დღის წესრიგის ლოკალიზაციის გზით.

2. კონფლიქტების პრევენციასა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ქალთა ეფექტიანი და წარმომადგენლობითი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მექანიზმების შემუშავება - მშვიდობის მშენებელ ქალთა და აქტივისტთა ქსელის გაძლიერება და დარგობრივ სამინისტროებთან რეგულარული დიალოგის მექანიზმების მხარდაჭერა, მათ შორის, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ქართველ მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, აგრეთვე, ქალთა სამოქალაქო საზოგადოებებსა და დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და ახალგაზრდებს შორის.

3. სამთავრობო უწყებების, მათ შორის, უსაფრთხოების სექტორის ძირითადი პარტნიორების შესაძლებლობების გაძლიერება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების მხარდასაჭერად - დარგობრივი სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაძლიერება ეროვნული სამოქმედო გეგმის უკეთესი განხორციელების მიზნით, მათ შორის, აღნიშნული დღის წესრიგის ლოკალიზაციის მეშვეობით.

4. უსაფრთხოების სექტორის პარტნიორების შესაძლებლობების გაძლიერება მათი უწყებების პოლიტიკაში, პროცედურებსა და ღონისძიებებში გენდერული მეინსტრიმინგის კუთხით - გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების ხელშეწყობა უსაფრთხოების სექტორის უწყებებში, რომელიც პროექტის ფარგლებში ჩატარებული თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის რეკომენდაციებს ეფუძნება, ასევე, სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის გაძლიერება, სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების პრევენცია და რეაგირება და უსაფრთხოების სექტორში ქალების კარიერული შესაძლებლობებისა და ლიდერობის მხარდაჭერა.

UK Government

პროექტი დიდი ბრიტანეთის მთავრობის, კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდისა და თავდაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.